

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტთან შესაბამისობა I კლასებში

ია ღვინაძე

მასწავლებელთა განათლების მაგისტრი, ინგლისურის მასწავლებელი

რეზიუმე

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ინგლისური ენის სწავლების აუცილებლობას ისახავს მიზნად. ინგლისური ენის სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდაქტიკის, აღზრდისა და განვითარების ძირითად პრობლემებთან. ვფიქრობ, ამას დაწყებით საფეხურზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი, რადგან მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უაღრესად დიდი მონაპოვრის გაგება, გააზრება და გამოყენება არ მოხერხდება, თუ ცალკეული დარგის სპეციალისტს არ ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხების შესწავლის დონეს თავისი ქვეყნის საზღვრებს იქით, გაითვალისწინოს უცხოელ ავტორთა კვლევის მეთოდები და შედეგები.

ამის საპასუხოდ ბევრი რამ კეთდება ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესება-სრულყოფის საქმეში. ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო მეთოდები ითვალისწინებს სწავლების შინაარსის ახლებურად შერჩევა-დამუშავებას. დაინერგება სწავლების კომუნიკაციური მეთოდები, შეიცვალა პროგრამები და სახელმძღვანელოები. რამდენიმე წელია პირველივე კლასიდან იწყებენ ინგლისური ენის შესწავლას.

ჩემი საკონფერენციო თემა მოიცავს მოსწავლეების მიერ წლის ბოლოს მიღწეული შედეგების ინგლისური ენის სტანდარტთან "დ(01)" შესაბამისობის დადგენას, პროგრამით გათვალისწინებული მასალის კომუნიკაციაში გამოყენების უნარს კერძოდ მოსმენის, კითხვის, წერის, ლაპარაკის შესწავლას პირველ კლასებში; კანონზომიერებების დაზუსტება სწავლების დაწყებით საფეხურზე; კომუნიკაციური მიდგომით საგნის ათვისება, ბავშვის გადატვირთვის გარეშე.

ამის დასადგენად გამოვიკითხე ოთხი სკოლის 15 მასწავლებელი და 310 მოსწავლე. (N53-ე, N51-ე, N122-ე, პირველი ექსპერიმენტული, კერძო სკოლები „თამარიონი“ და „მარჯი“).

საკვანძო სიტყვები - სწავლება, სტანდარტი, მოსმენა, კითხვა

ინგლისური ენის სწავლების სტანდარტის მიმართულებების ანალიზი (დ 01);

ზეპირმეტყველება: მოსმენა და ლაპარაკი

განვითარებული სწავლების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების ტექნოლოგიათა განვითარება. ეს მიმართულებები სამ ძირითად საგნობრივ სფეროში ჰპოვებს რეალიზებას. ესენია: ენა, როგორც ინფორმაციის გაგების, ანალიზისა და შეფასების საშუალება (ენა საინფორმაციო მიმართულებით), ენის კომუნიკაციური ასპექტები (ზეპირი და წერილობითი არამხატვრული ტექსტები) და ლიტერატურა, როგორც ენის ესთეტიკური გამოვლინება.

სტანდარტის მიხედვით პირველივე კლასიდან ოთხივე უნარ-ჩვევაზე გამახვილებული ყურადღება. (მოსმენა, ლაპარაკი, წერა და კითხვა).

ზეპირმეტყველება - არის მიმართულება, რომელიც ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეტყველო ქცევას აერთიანებს. ესენია: მოსმენა და ლაპარაკი.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შედგენილი დ01 სტანდარტის (ინგლისური ენა) პირველი მიმართულება გახლავთ მოსმენა. ამ მიმართულებით მოსწავლემ უნდა შეძლოს მასწავლებლის მითითების, მოსმენილი ილუსტრირებული მინიდილოგების და მონოლოგების, ილუსტრირებული აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტების გაგება.

მოსმენის აღსაქმელად მოსწავლე იყენებს სხვადასხვა სტრატეგიებს (ჟესტიკულაციას, სხვადასხვა ტიპის ხმაურს, ინტონაციას, ილუსტრაციას). შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე შეძლებს უცნობი სიტყვების ამოცნობას ვერბალურ თუ არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობით.

დაწყებით ეტაპზე მოსწავლეებს არც ტექსტის ამომწურავად გაგება მოეთხოვებათ (საკმარისია საკომუნიკაციო სიტუაციის, ზოგადი ინფორმაციისა და ცალკეული გამოთქმების გაგება) და არც გამოთქმების დესტრუქტურიზაცია და ლინგვისტური თვალსაზრისით გაანალიზება.

რაც შეეხება აუდიო ჩანაწერებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენის სწავლებისას. მათი დახმარებით ვითარდება მოსმენის უნარ-ჩვევების ყველა ასპექტი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული). აუდიო ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს შემოვიტანოთ საკლასო ოთახში გარესამყარო, შევაჩვიოთ მოსწავლეთა ყური სხვადასხვა დიქტორის ხმის აღქმას, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია.

დაწყებით საფეხურზე აუდიო ჩანაწერების გაკვეთილზე გამოყენება რეკომენდირებულია არაუმეტეს 10 წუთისა, რადგან მათი მოსმენა - ყურადღების დამაბვის აუცილებლობის გამო - ფსიქოლოგიურად დამღლეელია. (ანოზაძე; 2005). ასევე რეკომენდირებულია ერთიდაიგივე ჩანაწერი მოვასმენინოთ ბავშვებს ორ-სამჯერ. სიმძლეეთა მოხსნის მიზნით, როგორც წინასწარი საუბრის ჩატარება მოსასმენი მასალის შინაარსთან დაკავშირება, ისე ლექსიკური მასალის წინასწარი ახსნა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეები თავიდანვე მივაჩვიოთ საკლასო ენისთვის დამახასიათებელ ჩვეულ ფრაზებს (Classroom language: Stand up, Sit down), რათა შეძლებისდაგვარად შეიქმნას ინგლისურ ენოვანი სამყარო.

მოსმენის უნარ-ჩვევების განსავითარებლად სავარჯიშოები დაწყებით ეტაპზე იგივეა, რაც შემდგომ საფეხურებზე:

- კითხვა-პასუხი მოსმენის შესახებ;
- სახელმძღვანელოში, დარიგებულ ბარათებში (flashcards) გაგონილი სიტყვების ან სწორი პასუხის მონიშვნა;
- სხვადასხვა სახის დიალოგების კომპიუტერის (ნეთბუქების) მეშვეობით მოსმენა და როლური თამაშებით მისი გამეორება.

დავალეზას „მოისმინე და შეასრულე“ ამ ასაკში მაღალი მოტივაცია აქვს.

მოსმენის სწავლებისას საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება. კომპიუტერში ბავშვები სიამოვნებით უსმენენ და უყურებენ სასწავლო, ანიმაციურ და საბავშვო მხატვრული ფილმების ფრანგმეტებს.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ძალიან ადვილია კომპიუტერის მეშვეობით ენის შესწავლა. ჩატვირთული პროგრამა საინტერესო, სასიამოვნო და გასართობია, რაც გაკვეთილზე სასწავლო აქტივობის მოტივაციას ზრდის. ასეთი მასალების გამოყენების შემდეგ, მოსწავლეებს უადვილდებათ აზრის ჩამოყალიბება და მასალიდან გამომდინარე მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს წარმატებით პასუხის გაცემა. ასე, თანდათანობით იწყებენ მარტივი ფრაზებით ლაპარაკს.

ინგლისური ენის დ01 სტანდარტის მეოთხე მიმართულება არის **ლაპარაკი**, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს ელემენტარული ფონოლოგიური უნარ-ჩვევები. უნდა შეძლოს ინგლისური ენის ბგერების, ჟღერადობების, ინტონაციების აღქმა, მიბამვა და გამეორება. ლაპარაკად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოსწავლე საწყის ეტაპზე შეძლებს მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობას.

პირველ ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება რთულია. სწავლების სტრატეგია ამ შემთხვევაში რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული, რომლის მიზანიცაა სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მასალის გამდიდრება/განმტკიცება. რეპროდუცირებისთვის გამოიყენება ლექსები, გათვლები (პატარებისთვის), სიმღერები, დიალოგები და სკეტჩები.

პროდუცირება შეზღუდული სახით უნდა მიმდინარეობდეს. მოსწავლეები შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვამენ და უპასუხებენ კითხვებს, ან ნიმუშების მიხედვით გაითამაშებენ მარტივ სცენებს. ასე, ბავშვები სიამოვნებით ასრულებენ ზღაპრების პერსონაჟების როლებს (როლურ თამაშებს). საზეიმო დადგმები უვითარებთ მათ კრეატიულობას, უღვიძებთ ფანტაზიას, უბიძგებთ შემოქმედებისკენ, რაც ესთეტიკურსა და ზნეობრივ აღზრდას, ემოციურ განვითარებას უწყობს ხელს.

სანიმუშო მეტყველების მიბამვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისური ენის სწავლებისას, აუცილებელია მცირე მოცულობის სანიმუშო მონოლოგიური და დიალოგიური ტექსტების გამოყენება საუბრის უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. „*ტექსტებზე მუშაობა მექანიკურია, შემოქმედება მინიმუმამდეა დაყვანილი (მიმიკა და ჟესტები, გამომეტყველება და ცალკეული სიტყვების შეცვლა)*“ [ა. ნოზაძე; 2005; 128]


ეს ყველაფერი მოცემულია სტანდარტშიც. მაგრამ სტანდარტში მითითებულ რამდენიმე ინდიკატორს არ ვიზიარებ. ესენია: მოსწავლემ სიტყვა დაყოს მარცვლებად და მარცვლები შეაერთოს სიტყვებად, მარცვლების რაოდენობა წარმოადგინოს შესაბამისი რაოდენობის სიმბოლოებით (მაგ: რკალებით), ამოიცნოს სიტყვაში მითითებული მარცვლის ადგილმდებარეობა (დასაწყისში, შუაში, ბოლოში) და სიმბოლოურად გამოსახოს ისინი (სამმარცვლიანი სიტყვის გამომხატველი სამი რკალიდან აფერადებს მითითებული მარცვლის შესაბამის რკალს).

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დასაძლევობის პრინციპი დარღვეულია და მასალა მოსწავლის ასაკის შესაბამისი არ არის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფილოსოფოსი იან ამოს კომენსკიც დასაძლევობის პრინციპს მთავარ ამოცანად ასახელებს.

ჩემ მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგადაც გამოკითხულ მასწავლებელთა თითქმის 100%-მაც იგივე აზრი გაიზიარა. (იხ. დიაგრამა 1.)

დიაგრამა 1.

Materials



ლაპარაკის უნარ-ჩვევების განსავითარებლად მასწავლებელმა შემდეგი სახის სავარჯიშოები უნდა შესთავაზოს თამაშის სახით.

- შეჯიბრი; რომელი წყვილი უკეთესად განასახიერებს მოსმენილ დიალოგს (ჟესტიკულაციით, მიმიკით) მაგ: "Nino Says" (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. English Teacher's Guide დ01; 2010)
- მოსწავლეს ხელში აქვს დამალული ბარათი (Flashcard) და კლასმა მარტივი შეკითხვების დასმით უნდა გამოიცნონ ეს სიტყვა.
- კომპიუტერების მეშვეობით დამახსოვრებული მინიდილოგების რეალურ სიტუაციაში გადმოტანა.

„თამაში, ი.ა. ზიმნაიას აზრით, ახალ (უცხოურ) ენაზე გადასვლის ფსიქოლოგიურ გამართლებას წარმოადგენს, ე.ი. ნეგნევიცკაიას აზრით კი, თამაშებრივ დავალებას მოტივიც და სამეტყველო აქტივობის მიზანიც აქვს“. [ა. ნოზაძე; 2005; 129] ასე, რომ ვფიქრობ თამაშით და მწირი ლექსიკითაც კი შეძლებს მოსწავლე ლაპარაკის დაწყებას.

კითხვა - დ01 სტანდარტის მეორე მიმართულება გახლავთ, რაც შემდგომში მდგომარეობს: მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი და ხშირად ხმარებული სიტყვების ორთოგრაფიული ხატის პირდაპირი გზით (დამარცვლა-დანაწევრების გარეშე) ამოცნობა და ამ ხერხით გამოუმუშავდება ტექსტზე მუშაობის საწყისი ჩვევები.

კითხვის დაწყება თავდაპირველად რთულია ისევე, როგორც სხვა უნარ-ჩვევების. ამიტომ დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება თავისებური მეთოდოლოგიით წარმართება. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას (ბგერების აღქმის და გამოყენების უნარი). მნიშვნელოვანია ანბანური პრინციპის გაგება (ასოს, როგორც გრაფიკული ერთეულის კავშირი ბგერასთან, როგორც აკუსტიკურ ერთეულთან). მეორე რიგში კი მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს არ დააწყებინოს სისტემური კითხვა, რამაც შეიძლება სერიოზული შეფერხებები გამოიწვიოს არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ მშობლიურ ენაშიც კი.

სტანდარტისგან განსხვავებით პენი ურს მიაჩნია, რომ მოსწავლემ სასურველია კითხვა დაიწყოს თითოეული ასოს ამოცნობითა და მათი შეერთებით ამოიკითხოს სიტყვა. არ არის აუცილებელი ანბანის თანამიმდევრული შესწავლა. ნაცნობი და მარტივი სიტყვების ასოების ცნობა გაუადვილებს ანბანის თანდათან შესწავლას. ისე, რომ თავად ვერ გაიაზრებს როგორ დაიწყებს სისტემურ და ეფექტურ კითხვას. (Penny

Ur; 1991). იგივე იდეით აქვს შედგენილი პირველ კლასელთა სახელმძღვანელო „Phonics” ქალბატონ ინა ბარათაშვილს.

მასწავლებელმა მოსწავლეები ნელ-ნელა უნდა შეაჩვიოს სამუშაოს, როგორც ჩუმი, ისე ხმამაღალი კითხვის ტექნიკას. წაკითხულის გაგების უნარის გასაყარჯიშებლად მასწავლებელმა მოსწავლეები აქტიური მკითხველის მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. ამის განსახორციელებლად წაკითხვამდე უნდა მისცეს კონკრეტული საკითხავი ამოცანა. კონკრეტული ამოცანით უნდა მიიყვანოს მოსწავლეები ტექსტთან. მაგ:

- ასო-ბგერითი ასოციაციების შესაქმნელად სასარგებლოა შემდეგი სავარჯიშო. სურათების ან საგნების ჩვენებისას მათი პირველი ბგერის/ასოს დასახელება ან პირიქით. ისეთი სიტყვის დასახელება, რომელიც შესასწავლი ასოთი იწყება.

- დაფაზე დაწერილ სიტყვებში ნაცნობი ასოების ამოკითხვა და კომპიუტერში აკრება. (მაგ. ბიჭის და გოგოს სხეულის აწყობა)

ბოლო წლებში კითხვის სწავლების მეთოდოლოგია მთლიანი სიტყვის წაკითხვას გვირჩევს (ორთოგრაფიული ხატის ცნობა). მთლიანი სიტყვის ამოცნობა დამარცვლადანაწევრების გარეშე, პირდაპირი გზით. მოსწავლე ათვალეირებს ნახატს შესაბამისი სიტყვით და იმახსოვრებს სიტყვაში მოცემულ ასოთა მოწესრიგებულ თანმიმდევრობას.

პრაქტიკიდან გამომდინარე, აღმოჩნდა რომ ბავშვებს მართლაც შეუძლიათ ორთოგრაფიული ხატის ცნობა და დამახსოვრება. 8 გაკვეთილის განმავლობაში შეუძლიათ დაიმახსოვრონ დაახლოებით 15-18 სიტყვამდე. ეს უაღვილებთ მომავალში წერის დაწყებასაც.

სახელმძღვანელოში, English World 1 -ში მოცემულ პატარა დიალოგებში სიტყვების ამოცნობა ნელ-ნელა გამოუმუშავებს მათ ტექსტზე მუშაობის საწყისი ჩვევები.

უცხოური ენის (ინგლისური) სტანდარტის (დ01) მესამე მიმართულება გახლავთ წერა. სტანდარტის მიხედვით ითვლება, რომ მოსწავლეს შეუძლია წერა, როდესაც დაფიდან გადმოხატავს საკუთარ სახელს, შეადარებს ასოს რაიმე ნაცნობ ფორმას.

წერა ძირითადად რეპროდუცირებას ეფუძნება. წერის უნარის განვითარება აუჩქარებელი ტემპით უნდა წარიმართოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერის ტექნიკურ-მოტორულ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაშიც იგულისხმება ასოების გადახატვა, გამოწერა და გადაბმა.

მართლწერის უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა თამაშები.

- მსგავსი მართლწერის მქონე სიტყვების ტექსტში პოვნა და დაჯგუფება: night, light, bright.


- კომპიუტერში ქართულად ჩაწერილი სიტყვის ინგლისურად გადათარგმნა და ჩაწერა. (მაგ: სახლის გარეგანი აღწერილობისას პროგრამაში ქართულად იწერება სიტყვები და მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ ინგლისურად, თუ სწორად ჩაწერენ შემდეგ სიტყვაზე გადაიყვანს).

დღესდღეობით ინგლისური კალიგრაფიის დაუფლების გასაიოლებლად გამოიყენება ბეჭდური ანბანი (წერითი ენის ორმაგი სიმბოლოების დაუფლების სირთულის მოსახსნელად და გარკვეული ხელწერის მისაღწევად). ინგლისური

მართლწერა ემყარება ისტორიულ-მორფოლოგიურ პრინციპს, ამიტომ სიტყვის დაწერილობა და ჟღერადობა ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. (მაგ: Board [bo:d])


კითხვაზე თუ რა სიხშირით ასრულებენ წერის აქტივობებს მივიღე შემდეგი პასუხი პროცენტებში : ყოველ გაკვეთილზე - 22%; კვირაში ერთხელ - 49 %;თვეში ერთხელ - 29%. (იხ. დიაგრამა 2.)

დიაგრამა 2.



გარდა მასწავლებელთა გამოკითხვისა მოსწავლეებიდანაც მოვიპოვე პრაქტიკული მონაცემები ტესტების სახით. ტესტები ფაქტობრივად შედგენილია წერით აქტივობებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატა იმაში, რომ გაგონილი სიტყვები/ფრაზები ბავშვებს უნდა დაეფიქსირებინათ ილუსტრირებული სიტყვების შემოხაზვით, ჩახატვით, დანომრით და ბეჭდური სიტყვების შესაბამის სურათებთან შეერთებით. (იხ. დიაგრამა 3.)

დიაგრამა 3.



მოსწავლეებმა ამ აქტივობებს საკმაოდ კარგად გაართვეს თავი, მაგრამ იმ კლასებში სადაც მე ვასწავლიდი და ვასწავლი (4 პირველი კლასი) დავამატე მარტივი სიტყვების კარნახიც. აღმოჩნდა, რომ 10 სიტყვიდან მოსწავლეებმა მხოლოდ Cat და Dog დაწერეს.

ამ ცდას ვატარებდი პირველი სემესტრის ბოლოს, როდესაც ანბანი ჯერ დაწყებული არ ჰქონდათ. ორთოგრაფიული ხატის ცნობა ამ პერიოდში განვითარებული ჰქონდათ, მაგრამ გონებაში წარმოდგენილი სიტყვები ვერ გადმოიტანეს ფურცელზე. მეორე სემესტრის ბოლოს როდესაც ანბანი უკვე ასე თუ ისე ათვისებული ჰქონდათ ძირითადად დაუშვეს მხოლოდ ერთი ან ორი შეცდომა. მიმაჩნია, რომ აუცილებელი არ არის ანბანის შესწავლის პირველივე სემესტრში დაწყება, ამასთანავე ანბანთან მიმართებაში აღმოვაჩინე უზუსტობა სახელმძღვანელოსა და სტანდარტს შორის.

სტანდარტი წერაში გულისხმობს, რომ:

უცხ.დ01.7. მოსწავლეს შეუძლია სიტყვების გადახატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: მასწავლებელს სთხოვს, აჩვენოს, როგორ იწერება მისი სახელი და გადმოწერს (გადმოხატავს) საკუთარ სახელს; აკვირდება ასოს ფორმას, ადარებს რაიმე ნაცნობ ფორმას ან საგანს; ხელის მოძრაობით, ზონრით, პლასტილინით გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას; დაფიდან გადმოწერს იმ სიტყვას, რომლის ორთოგრაფიულ ხატსაც ცნობს და მიუხატავს შესაბამის ილუსტრაციას.

თუ მხოლოდ ეს ჩამონათვალი მოეთხოვება მოსწავლეს, მაშინ რატომ იწყება English World 1 - ანბანით.

დღეს ყველა სკოლაში ერთი სახელმძღვანელოთი ხელმძღვანელობენ. Macmillan-ის მიერ შემოთავაზებული English World 1-ი რამდენიმე ნაწილისგან შედგება: მოსწავლის წიგნი, სამუშაო რვეული, ლექსიკონი, ანბანი, აუდიოჩანაწერი და მასწავლებლის წიგნი. მოსწავლის წიგნი ძალიან კარგადაა შესრულებული, მაღალი ხარისხის ილუსტრაციებით. დასურათებულია და თითოეულ ნახატს სათანადო წარწერა ახლავს. მაგრამ წიგნი ისეა აგებული, რომ ძალიან რთულია გვერდი აუარო ანბანს და მხოლოდ ზეპირმეტყველებით შემოიფარგლო. აქედან გამომდინარე გამოდის რომ მოსწავლე იძულებულია პირველივე სემესტრიდან დაეუფლოს ერთდროულად 3 ანბანს: ქართულს, მათემატიკაში ციფრებს და ინგლისურს. რაც ყოველად შეუძლებელია 6 წლის მოსწავლისთვის. მას თავიდანვე აწუხებს დაუძლევადობის სინდრომი, ეს კი იწვევს ქაოსს. მშობლების მხრიდან აგრესიას, პრეტენზიას და მასწავლელების მხრიდან წუხილს.

მაგალითად, სოფელი შილდის N2 სკოლაში პირდაპირ პირველივე დღიდან ანბანის შესწავლა დაიწყეს, დარწმუნებული ვარ თქვენს საახლობლოში თქვენც გაიგებდით ამდაგვარი მაგალითის შესახებ.

ვფიქრობ, ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ. აუცილებელია დაზუსტდეს თანხვედრა სტანდარტსა და სახელმძღვანელოს შორის. კარგი იქნება თუ სტანდარტში განისაზღვრება ზუსტი პერიოდი როდიდან უნდა დაიწყონ ანბანის შესწავლა, სხვა შემთხვევაში სახელმძღვანელო უნდა გადაიხედოს და მოარგონ სტანდარტს. სიახლის დანერგვას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული ხარვეზები, რისი გამოსწორებაც დროულად უნდა მოხერხდეს.

დასკვნის სახით კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსმენისას აუდიო-ჩანაწერი არ მოვასმენინოთ 10 წუთზე მეტი.

ლაპარაკის სწავლებისას დაველოდოთ მშვიდად მოსწავლის პასუხებს. უნდა დავკმაყოფილდეთ მათი მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის მიღებით. ვფიქრობ, დაწყებით კლასში უცხოური ენის (ინგლისურის) სწავლებისას მკაცრად უნდა დავიცვათ ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

კითხვისას მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ English World 1 -ში მოცემული პატარა დიალოგებში სიტყვების ამოცნობა ნელ-ნელა გამოუმუშავებს მოსწავლეებს ტექსტზე მუშაობის საწყის ჩვევებს.

წერასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემა გვაქვს, რადგან სახელმძღვანელოსა და სტანდარტს შორის სერიოზული შეუსაბამობა დადგინდა ანბანის დაწყებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია, რომ წერის სწავლების დროს არ მოხდეს ისეთი აქტივობის შეტანა, რაც არ შეესაბამება ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, ანუ პირველივე სემესტრიდან არ დაიწყონ ანბანის შესწავლა. კარგი იქნება თუ სტანდარტში განისაზღვრება ზუსტი პერიოდი როდიდან უნდა დაიწყონ ანბანის შესწავლა და კიდევ ერთხელ გადაიხედება სახელმძღვანელოს შესაბამისობა სტანდარტთან.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ვთქვათ, რომ მიმდინარეობს სტანდარტის განმავითარებელი და აღმზრდელობითი მიზნების რეალიზაცია, რომელთა შორისაც თანდათანობით პრაქტიკული მიზანი წამყვანი ხდება. თუ მიღებული შედეგები გათვალისწინებული იქნება სტანდარტში უფრო წარმატებით მოხდება მისი განხორციელება სწავლის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული თ. ინგლისელ და ქართველ ბილინგვ ბავშვთა ენობრივი თავისებურებანი;საენათმეცნიერო ძიებანი XIII ; თბ. 2002;
2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ვისწავლოთ ერთად; 2008;
3. გიორგობიანი ლ.,უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია. თბ. 2004;
4. ვასაძე ნ. პედაგოგიკის ისტორია; თბ. 1988;
5. ლორთქიფანიძე დ. დიდაქტიკა; თბ.1981;
6. ლორთქიფანიძე დ. ი.ა. კომენსკი; თბ 1964;
7. მალაზონია შ. პედაგოგიკა . თბ. 2001;
8. ნათენაძე მ. თვალსაჩინოების დიდაქტიკური პრინციპი. თბ. 1998;
9. ნოზაძე ა. ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია დაწყებით სკოლაში;თბ. 2005;
10. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, ჯ. ებოტი, თბ. 2004, გვ 84;
11. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია; თსუ გამ. 1947;
12. უცხოური ენები სკოლაში N:1 . თბ. 1987;
13. British Council Training – Teaching Speaking Skills through Video Lessons;
14. Etto – Primary Teaching Training Online;
15. Harmer J. Practice of English Language. 3rd edition. 2001;
16. Penny Ur. A course in language teaching. 1991;
17. Scrivener J. Learning Teaching. Malaysia 2009.